№ 277. პარასკევი, 8 აგვისტო. 1896-1897 პარასკევი, 8 აგვისტო, № 277.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ.
ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.
Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

ცნობის ფურცელი საჯარო ბიბლიოთეკა

„ცნობის ფურცელი“ 1-ლ აგვისტოდან წლის დამლევამდე
საქართველოს კალენდრით
ღირს სამი 3 მანათი

ექიმი
უ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფს იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

თავადი მელიტონ გლახუას ძე მიქელაძე შვილებითურთ
აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ მეორმოცე დღის პანაშვიდი განსვენებულის
კნეინა მეტია მიქელაძის (მიქაძის ასულის)
სულის მოსახსენებლად დანიშნულია ამა აგვისტოს 12 დღეს სამშაბათს, დილის 11 საათზე, ს. წილკანში წმ. გიორგის ეკკლესიაში.
(1—1)

გამგეობა
უმაღლესად დამტკიცებულის საზოგადოებისა «იაკორი»
ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ფ. ა. ივანოვმა, ავადმყოფობის გამო, უარი განაცხადა ტფილისის უმთავრესს სააგენტოს გამგებლობაზე და მის მაგიერ მთავარ-აგენტად ტფილისში დანიშნულ იქმნა—
ალექსანდრე გრიგორის ძე სერგიევი.
მთავარ-აგენტის კანტორა იმყოფება ერევნის მეიდანზე, თ. ციციშვილის სახლში, № 2.
საოლქო ინსპექტორი საზღვევის საზოგადოების იაკორისა ი. კორეიშა.
(8—1)

ილია დემეტრაშვილის

საპარიკმახერო
სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა
გავმართე ახალი საპარიკმახერო, სადაც ყოველ დღე მსურველთ შეუძლიანთ გაიკრიჭონ და გაიპარსონ.
სისუფთავე და სიწმინდე საგანგებოა
ხელოსნები დახელოვნებულნი არიან პარსვა-კრეჭაში
თავის დაბანვა სუნნელოვანის წყლით
იქვე რეცხენ ხელთათმანებს
!!ფასი ყველაფერზე იაფია!!
НОВАЯ ПАРИКМАХЕРСКАЯ
И. Деметрашвили
Дворцовая, д. Грузинск. Дворянства.
(15—4) საზოგადოების პატივისმცემელი ი. დემეტრაშვილი.

გამოვიდა და იყიდება
წ. კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიებში
გლეხი-კაცის ისტორია
ერკმან შატრიანისა
თარგმანი ფრანგულით ივ. მაჭავარიანისა
ფასი სამი აბაზი
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური
წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივად დაეთმობათ. (20—4)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი (სოხუმის ოლქში)
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе,* ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. (300—158)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა.
დილაობით:
ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ფ. ი. ბაბანასიანცი, დილის 11—12 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვებისა.
ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.
საღამოობით
ა. მ. პუდინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Ткфлисъ, противъ памятн. Ворнцову.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავად მყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნიარ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 სათამდე.
შინაგან და ნერვების ავადმოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.
დედათა ავად მყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ თოფურია.
Лѣчебница *С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“
«რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.»

6 აგვისტო.

მოსკოვი. 5 აგვისტოს ქალაქის მანეჟში მოხდა პირველი სხდომა ექიმთა. აქ არიან მოწვეულნი ამ ჟამად ექიმები—წარმომადგენელნი ყველა ქვეყნებიდან.

ხერსონი. ხერსონის ქალაქის საბჭომ დაადგინა, გაეგზავნოს პრეზიდენტს საფრანგეთის რესპუბლიკისას ფორს, დღესა მობრძანებისა მისისა რუსეთში, სალამი დეპეშით.

ქრისტიანია. 5 აგვისტოს მოსულმა გემმა „ლაფანტენმა“ მოიტანა ამბავი, რომ გემს „ეკსპრესს“, რომელზედაც იმყოფება ექსპედიცია დოქტორის ლერნერისა, გაუგია შემდეგი: „ალკენის“ გემის კაპიტანს ნორდკაპის ახლო მოუკლავს საფოსტო მტრედი, რომელსაც უპოვნეს დეპეშა და წერილი. დეპეშა იუწყება: „გავიარე 82 გრადუსი ჩრდილოეთისა; უხიფათოდ მივდივართ ჩრდილოეთისკენ. ანდრე“. რიცხვი და თვე ვერ გავარჩიეთ.

პარიჟი. 5 აგვისტოს მინისტრებმა, პრეზიდენტის თავმჯდომარეობით, განიხილეს სხვა-და-სხვა საგნები, რომლებიც ეხებიან ფელიქს ფორის მოგზაურობას რუსეთში. პრეზიდენტი წაბრძანდება პარიჟიდამ 6 აგვისტოს დილით დიუნკირხენში, საიდამაც პირველ საათზე წაბრძანდება რუსეთში; თან ახლდებიან ჰანოტო, ადმირალი ჟერვე და სხვა სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი.

ვიდრე ჰანოტო დაბრუნდებოდეს, მართვა უცხო საქმეთა სამინისტროსი ჩაჰბარდა მელინს.

ტიუმენი. მოგზაური ნოსილოვი მოვიდა კარსის ზღვიდგან; მას აღმოუჩენია ჩინებული გზა ციმბირისა და ევროპის შორის სამოგზაუროთ. გამოუკვლევია აგრეთვე აქამდის არ ცნობილი ნახევარი კუნძული «იალმალი».

⁂

კანონი და მთავრობის განკარგულება.

ადმინისტრაცია. უმაღლესად ებოძა: სამსახურის წელთა შესრულების გამო, ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის კანცელარიის მოხელეს ქობალიანს კოლეჟსკი რეგისტრატორობა.

დამოჟნის უწყება. უმაღლესად ებოძან: ყარაურგანის კარანტინ-დამოჟნის კანტორის მდივანს, ტიტულიარნი სოვეტნიკს გერსამიას—კოლეჟსკი ასესსორობა, ოჩემჩირის კარანტინ-დამოჟნის საწყობის ზედამხედველის თანაშემწეს კოლეჟსკი სეკრეტარს მესხს—ტიტულიარნი სოვეტნიკობა.

დამტკიცებულ იქმნა: გუბერნსკი სეკრეტრად—უზუნ-ადას სადამოჟნოს მდივანი ქართველიშვილი.

მართლ-მადიდებელთა სარწმუნოების უწყება. დამტკიცებულ იქმნა: კოლეჟსკი სეკრეტრად, გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი დადიანიძე.

⁂

ახალი ამბავი

⁂ **† თ. დავით ივანეს-ძე ავალიშვილი.** გუშინ, 7 აგვისტოს, ხანგძლივის ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თავისს სოფელში, სიღნაღის მაზრაში, ცნობილი მოღვაწე თავადი დავით ივანეს-ძე ავალიშვილი, დირექტორი ტფილისის სათავადაზნაურო ბანკისა.

განსვენებული ახალგაზდობაში სამხედრო სამსახურში იყო არტილერიის კაპიტნის ჩინით. შემდეგ წავიდა სამხედრო იურიდიულს აკადემიაში. აქ კურსის დასრულების შემდეგ ნაფიც ვექილად იყო ტფილისში.

ყურადღება ქმრთველი საზოგადოებისა დაიმსახურა ნაყოფიერის შრომით ტფილისის სათავად-აზნაურო სააადგილ მამულო ბანკში სამსახურით, სადაც იყო დირექტორად უკანასკნელ წამებამდე თავის სიცოცხლისა. ბანკის საზოგადო კრებებზედ განსვენებული დავითი ერთი საუკეთესო და სინიდისიერი ორატორთაგანი იყო. კრება მუდამ გულ-დადებით ისმენდა მისს რჩევა-მოსაზრებას და თავისს თანხმობას და თანაგრძნობას უცხადებდა, რაიცა მტკიცდება იმითი, რომ მუდამ-ჟამ ირჩევდა მას ბანკის მმართველობაში რაიმე თანამდებობაზედ,

მისის გარდაცვალებით ჩვენ ბანკს დააკლდა ერთი საუკეთესო მცოდნე და კარგად განათლებული მოღვაწე, რაგვარი გარემოებაც დიდის გულმტკივნეულობით უნდა აღირიცხოს ჩვენს, ესოდენ ღარიბს მოღვაწეებით, დროში.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი პატიოსანო მუშაკო!

⁂ **თავ-გასული და ულმობელი კონდუქტორი.** ქუთაისში რკინის გზის სააგარაკო მატარებელში, 30 ივლისს, როდესაც მატარებელი დაძრულა, საჩქაროდ შემხტარა ერთი კაცი; შეუმჩნევია თუ არა ეს რკინის გზის ერთს მოსამსახურეთაგანს, მივარდნილა და არ უშვებდა, თურმე, ვაგონში, მაგრამ მატარებელი ისე გაქანებულა, რომ ველარ გაუბედნია ვაგონიდამ კაცის გადაგდება; ამ დროს მოსულა უფროსი კონდუქტორი და უბრძანებია მსახურისათვის, თუ ეხლავე არ გადააგდე ეგ კაცი, სამსახურიდან დაგითხოვო, მაგრამ იქვე მყოფნი მოგზაურნი გამოსარჩლებიან და სიკვდილს გადურჩენიათ საცოდავი კაცი; აბა რა გადაარჩენდა საცოდავს, რომ გაქანებულის მატარებლიდამ გადაეგდოთ და ისიც მდ. რიონის რკინის ხიდზე (როგორც აპირებდა, თურმე, მოსამსახურე— კანდუქტორის ბძანებით)?

ნუ თუ ასეთს თავგასულობას რკინის გზის მოხელეებისას არავინ არ მიაქცევს ყურადღებას?

რაჭველი

⁂ **ბ. ტფილისის გუბერნატორის განკარგულება.** ტფილისის საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბ. მაჰავარიანი გაუგზავნია ბ. ტფილისის გუბერნატორს კოდისა და კუმისის სოფლის საზოგადოებაში (ტფილისის მაზრა), სადაც, თურმე, მეტისმეტად გავრცელებულია ციებ-ცხელება. ბ. მაჰავარიანს თან საჭირო წამლებიც წაუღია.

⁂ **ქალაქის ხელოსანთა მოურავის უწესობა.** კანონისა და წესრიგის უცოდინარობა ცხადად ეტყობა ყოველს საქმეში ხელოსანთა მოურავს; იმას ჰგონებია, რომ ხელოსანთა მამასახლისად ისეთი პირი არ უნდა იქმნეს არჩეული, რომელიც ქალაქის გლეხად არ არის ჩაწერილი, და აი რა აურ-ზაურს აყენებს ხელოსნებში: ქალაქის მეთუნუქეებს თავიანთ კანდიდატად მამასახლისის თანამდებობაზე დაუსახელებიათ ბ. ალენდერი, მაგრამ ხელოსანთა მოურავი არა სთანხმდება, რადგან ბ. ალენდრი არ არის ჩაწერილი ქალაქის გლეხთა (**мещанинъ**) რიცხვში; ხელოსნები თავისას არ იშლიან და ამბობენ, ,,ჩვენ ამის მეტს კანდიდატს არ დავასახელებთო'', ხოლო მოურავიც თავისაზე სდგას და არ უყრის კენჭს ბ. ალენდრს. კიდევ ასეთივე მაგალითი: ქალაქის თერძებსაც დაუსახელებიათ თავისი კანდიდატები და მათ შორის ერთი აურჩევიათ, მიუხედავად ამისა, მოურავს ის გაშავებულნიც (7 კაცი) არჩეულებად უცნია (!!) ახირებულია! ნუ თუ ქალაქში იმოდენი არიან თერძები, რომ ერთი მამასახლისის მაგივრად—რვა არის საჭირო. ხელოსნებ'ა უარი განუცხადებიათ მოურავის ასეთს განაჩენზე, მაგრამ ის ვაჟბატონი, თურმე, ყურსაც არ იბერტყს.

ურიგო არ იქმნებოდა, რომ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, რათა კანონით მინიჭებული უფლებები არ წაერთვას ხოლმე ხელოსნებს უვიცის მოურავის მეოხებით.

⁂ **ლოტორეა-ალეგრის აკრძალვა.** გაზ. ,,კავკაზის'' № 207 დასტამბულია ბ. კავკასიის მთავარ-მართებლის ბრძანება, რომლითაც აღკრძალებათ საქველ-მოქმედო დაწესებულებათ თავიანთის საქმისათვის საჭირო ხარჯის დასაფარავად ლოტორეა-ალეგრების გამართვა. ბ. მთავარ-მართებელი თავის ბრძანებაში აღიარებს, რომ ლოტორეა ზნეობრივად ხრწნის საზოგადოებას და ამიტომ ყოველი საქველ-მოქმედო დაწესებულება მოვალეა, თავისის საჭიროებისათვის სხვა უფრო გონივრულსა და პატიოსანს საშუალებას მიჰმართოსო.

⁂ **ახალი დანიშნულება.** კავკასიის გზათა ოლქის უფროსს, ტაინ. სოვეტ. ინჟინერს ბ. სტატკოვსკის თხოვნა გაუგზავნია სამინისტროში – სამსახურიდამ განმათავისუფლეთ, რადგან ავადმყოფობის გამო აღარ შემიძლიან ვიმსახუროვო; გაზ. ,,ტიფ. ლისტ.'' შეუტყვია, რომ ბ. სტატკოვსკის მაგივრათ ამ თანამდებობაზე დანიშნულ იქნება ინჟენერი ფლორინი, რომელიც ამ ჟამად კიევის გზათა ოლქის უფროსად არის. ბ. ფლორინი დიდხანს მსახურებდა კავკასიაში და აქედამ გადიყვანეს ქ. კიევში.

⁂ **კოჯორის უძრავი მამულების დაფასება.** 1896 წელს კოჯორის უძრავი მამულები დაუფასებიათ და აღმოჩენილა 584, 715 მანეთის.

⁂ **სამთო სასწავლებელი ქ. ბაქოში.** მეურნეობის სამინისტროში ამ ჟამად განსახილველად არის ქ. ბაქოში სამთო სასწავლებლის დაარსების საქმე და თითქმის გარდაწყვეტილიც არის დაარსდეს; ამ სასწავლებლისათვის საჭირო ხარჯად ნავთის მწარმოებელთა უკანასკნელს კრებას თავის მხრივ დაუნიშნავს 10,000 მანეთი ყოველ წლივ.

⁂ **«შკაფჩიკების» ალაბი.** ქალაქის სავაჭრო-საოჯახო პოლიციის უფროსის ა. გ. ჯაბადარის განკარგულებით, იმავე პოლიციის აგენტს ბ. კუზანოვს, 5 აგვისტოს დაუვლია თამაშოვის ქარვასლაში მოვაჭრენი და მათი ალაბები დაუსინჯავს. ბ. კუზანოვს აღმოუჩენია, რომ ვაჭრებს ალაბის ზომა, რომელიც შკაფებზედ აქვთ დანიშნული, თითქმის ყველას ნამდვილზე ნაკლები აქვს და მხოლოდ სამს ვაჭარს აქვს რკინის ალაბები და ისიც ძველები, რომლებზედაც ქალაქის გამგეობას 1388 წელს დაუკრავს ბეჭედი. ბ. კუზანოვს დაუვალებია ყველა მოვაჭრენი, რომ მათ 11 აგვისტომდე შეიძინონ ახალი ალაბები ქალაქის გამგეობის მიერ ბეჭედ—დასმული.

საკვირველია, რომ ამ გარემოებას აქამდის არვინ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება.

⁂ **ახალი ქართული წიგნი.** ჩვენ გვთხოვს ბ. მიხეილ ნასიძე გამოვაცხადოთ შემდეგი: „ყველას მოეხსენება, რომ ქართულს ენას შემოეპარნენ მრავალნი უცხო ენების სიტყვანი, რომელნიც უშლიან დაწერილის გაგებას მდაბიო მკითხველს. ზოგი მათგანი თუ ისეთია, რომ უნდა გაძევებულ იქმნან ქართულიდგან, ზოგნი კი ისეთნი არიან, ურომლისობასაც ვერ იშვნევს ვერც ერთი ენა. ასეთნი არიან, მაგალითებრ, სამეცნიერო სახელები ლათინურის და ბერძნულის ენის ძირებიდგან წარმომდგარნი. ამიტომ მე შევადგინე ,,ლექსიკონი უცხო ენების სიტყვებისა, რომელნიც შემოვიდნენ ხმარებაში ქართულს ენაში''. თუ ვინმე იკისრებს ამ სასარგებლო წიგნის გამოცემას, მომმართოს პირობების შესატყობად.''

⁂ **ქართველების სოფელი პლასტუნსკაი *) მდინარე სოჩას ხეობაში.** ყოველი მგზავრი, რომელიცკი დააკვირდება შავი ზღვის პირების იმ მდიდარ ადგილებს, დაწყებულს ქ. ნოვოროსიიდან პოსტ-გაგრამდე, სადაც თავდება ჩერნომორის გუბერნია და იწყება სოხუმის ოლქი,—ნება-უნებლიეთ ერთს უმთავრესს დასკვნას დაადგება: ვერა და ვერ დასახლებულა აქ ხალხი, ვერ მოუკიდნიათ ფეხი თითქო და ყველა აქ მოსული (მე სახეში არა მყავს ის დიდი მემამულენი, რომელთაც ათასობით დესეტინა ტყე და ველი შეუძენიათ, როგორც მაგალ. ხლუდოვი, სიბირიაკოვი, რეინბოტი, ეროპკინი, შტეინგელი და სხვ., არამედ საშუალო და დაბალი მოსახლე) თითქო სადღაც აპირებს ზეგმაზეგ წასვლას, და არამც თუ შეილობილობას უწევს ან ჰპირდება აქაურს მამულ-დედულს, არამედ მხოლოდ სამტროდ გაჩენია. ყველა ნათქვამს ქვემოდ დავასაბუთებ, მანამ-კი მოკლედ გავაცნობ მკითხველს ამ ახალის გუბერნიის ავსა და კარგს, წარსულსა და აწმყოს.

მთლად ეს ადგილები მდ. ყუბანის მიდგმამდე უკანასკნელ ომამდე ჩერქეზების სხვა-და-სხვა ტომით იყო დასახლებული. როგორც ახლაც ცხადათა სჩანს, ის ხალხი მიწის მუშა ყოფილა, და მეტადრე ბაღოსნობაში დახელოვნებული. ეხლაც ზოგიერთა ალაგას ტყეში რამდენსამე ათეულ დღიურს მშვენიერს ნამყენ ხეხილს შეჰხვდება კაცი, ისე უპატრონოდ დატოვებულს.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ხეხილს და რამდენი უნდა იყვეს იგი, აი საიდან გაიგებს მკითხველი. ზოგიერთა სოფლები, როგორც ფრინველნი ღვთისანი, არც ხვნენ, არც სთესვენ, და შეჰყურებენ ხეხილს; დაისხამს ეს ტყე-ხილნარი, დაჰკრეფს მას „ახალი პატრონი“ და მიეზიდება „პურით და დოვლათით“ სავსე ყუბანის ოლქში და გადასცვლის პურზე. დიახ, უკანასკნელს ომამდე ჩერქეზი ერი მოსახლეობდა აქ, მას შემდეგ-კი სხვა-და-სხვა პირობების ძალით, რომელთა ასრულება არ შეიძლეს მათ, ირჩიეს სულ კვალ-წმინდათ გამოსთხოვებოდნენ ამ ადგილებს, და გაუდგნენ კიდეც ოსმალეთისკენ თავიანთ მერჯულე ხალხთან.

არ შევცდები, ვსთქვა, რომ მხოლოდ ერთი სოფელი კაჩმაი-ლა დარჩენილა მთლად შავი ზღვის ნაპირებზე.—მამულები დარჩა უპატრონოდ, ზოგი ვის ებოძა, ზოგი ვის. ზოგმა ისეთმა მიიღო აქ წილი, რომ ერთხელაც არ მოუხედნია აქეთ და არც-კი იცის სადა აქვს, ეტყობა, არაფრად ეჩნაჰება. ზოგმა გაყიდგამოყიდა. დაბოლოს დაინიშნა ექსპედიცია თავისუფალ ადგილების აღმოსაჩენად, დაწესდა კომიტეტი, რომელსაც აქაურ თავისუფალ ადგილების ,,კოლონიზაცია'' (დასახლშენება) ჩაჰბარდა, მაგრამ საქმე ისევ იქვეა მაინც შეჩერებული და ამოდენა ადგილ-მამულში, რომელსაც, ვინ იცის, რამდენი ათი ათასი მეკომურის გამოკვება და დაკმაყოფილება შეუძლიან, დღეს, უკანასკნელ აღწერიდან, 26 ათასი მოსახლის მეტი არა სჩანს, ამასაც რომ დავაკლოთ ქ. ნოვოროსიისკის მოსახლეები, მთელს გუბერნიას სულ 15 ათასი სული არ შეჰხვდება. სად იმალება ამის მიზეზი, სად არის გამოკვანძილი ეს საქმე, ამას ქვევით მოგახსენებთ.

ვინ არიან აქ მცხოვრებლები, აი თუნდა სოჩის ოლქში?—გროდნისა და ჩერნიგოვის გუბერნიის მცხოვრებლები, რომელთაც მის დღეში მიწისთვის ხელი არ მოუკიდნიათ, ერთი კვალი არ გაუტარებიათ გუთნით, არამედ მაუდის ქარხნებში მუშად ნამყოფები. სოფელ ნავაგინკაში და რაზდოლიეში ასეთი ,,ახალი მოსახლეები'' გაჩენილან, აგრეთვე სხვებში და რაკი არც თავათ სცოდნიათ აქაურ მამულის მოვლა და არც არა სხვას უსწავლებია, ადვილი წარმოსადგენია, რა ტანჯვა-წვალება გამოუვლიათ მათ. ზედ დაჰრთობია ჰავის შეუფერებლობა და წყევლა-კრულვა შეუთვლია ბედისთვის ასეთის ხვედრის რგებისათვის. ვისაც ძალა ჰქონია, გასცლია ამ ადგილს იმ აზრით, რომ თავისს დღეში დასწყევლოს, რომ მისმა გასაგისმაც არ დაადგას აქ ფეხი, და ვინც-კი ნებაუნებლიეთ ხელში შერჩენია თავისს ხვედრს, ხელი მიუყვია ერთად-ერთ საქმეზე—ტყის ჩეხისთვის, მაგრამ ისე დაწეულა აქ ხე-ტყის ფასი, რომ ადვილი არ გამხდარა ამ საქმით კვება-ცხოვრება.

თვით გერმანელებსაც, რომელნიც უფულოდ მოსულან აქ, ვერა გაუწყვიათ-რა ,,ახალის ბუნების ძალისათვის'' და, როგორც თვით ამბობენ, ადრე და მალე ბევრი გამოსთხოვებია წუთი სოფელს, და ბევრი უცემიათ ცხვირში, თუ რათ მოშორდნენ თავიანთს პირველ ადგილს. ასეთსავე ხვედრის ხელში ჩაცვივნულან ესტონელებიც და მოლდავნელები, რომელთა სოფლები იმყოფება მდ. მზისმთა *) ფსუაპე და ხოშუპსეს ხეობებში, სახელდობრ: პილენკოვო, მოლდოვკა, ესტონკა და სხვა...

ყველა ამას რომ ჰხედავს კაცი, რომელიც-კი იცნობს გაჭირვებული ადგილის სივიწროვით რაჭა-ლეჩხუმს, შორაპანს, ქართლის შუაგულ ადგილებს,— ნება-უნებლიედ ჩაუფიქრდება, რატომ ჩვენი ხალხი არ გადმოდის აქეთ, რატომ ამ უკვდავება ადგილ-მამულს თავისის ოფლით არ მორწყავს?! მაგრამ სად, ვინა ჰყავს პატრონი, რომ უწინამძღვროს, გზა უჩვენოს?.

ადგილები მთავრობისაგან ეძლევა გადმოსახლებულთ იმ პირობით, რომ ერთ მეოთხედზე გააშენოს ძვირფასი კულტურა: ვაზი და ხეხილი. ვინ არის ამაში დახელოვნებული, ვის მიწყის მიწყს უმუშავნია მხოლოდ ვაზზე და თვის სახელიც (ღვინობისთვე) შეუქმნია და მასში ვერავინ დაედრება—თუ არა ქართველ ერს, მაგრამ ,,გზის მაჩვენებელის უყოლობის'' გამო, აქ დაბალ მოხელეებს ხმა დაუყრია, რომ ქართველებს აღარ აძლევს მთავრობა ადგილსო, არა ხართ საიმედო ერიო, და ვინც-კი მოსულხართ აქამდე, ენა მუცელში ჩაიგდეთ, რადგანაც სტუმრები ხართ და სხვა არაფერიო... ეს უმაღლესი მთავრობის სურვილი-კი არ არის, ეს აქაურ მოხელეთა სურვილია... ეხლა, როგორც ისმის, უმაღლესი მთავრობაც ცდილობს, რომ ამ ადგილებში ქართველობა და ოსმალეთიდგან გადმოხვეწილი სომხობა დაასახლოს...

ღვთისა თუ ადამიანის წყალობით, მხოლოდ ერთათ-ერთი ზემოთ დასახელებული ქართველების სოფელი ,,პლასტუნსკაია'' (ახალი ლეჩხუმი) აღმოცენილა ამ გუბერნიაში: აქ გადმოსახლებულან ჩვიდმეტ-ოცი წლის წინათ ქართველები შემდეგი სოფლებიდგან: ოკრიბიდგან, ალპანიდგან, უცხერიდგან, აჭარიდგან (ლეჩხუმის მაზრაშია), ნაკვიდგან, ორხვიდგან, ყულისკარიდგან (ზუგდიდის მაზრა), ხორიდგან, დერჩიდგან, ორბელიდგან, ნასაპერიდგან, ლაჯანეთიდგან საირმოდგან, ზოგიშიდგან და ახოტიდგან (ზუგდიდის მაზრა.)

სულ ახლა ითვლება 97 კომლი, რომელიც დასახლებულია 3000 სეტინა მამულზედ.

კომლისათვის უკვე მოზომილია ოც-ოცდა ათი დესეტინა და ყოველი ოჯახის სახლ-კარი წარმოადგენს პატარ-პატარა აგარაკებს, სადაც მო-

---

*) აქაურები თავად „ახალ-ლეჩხუმს“ ეძახიან.

*) ვერ დავარწმუნე რამდენიმე აქაური „ძალის მქონე“, რომ ეს სახელი ქართველებს დაურქმევიათ ძველათ, და ქართული სიტყვაა და არა ჩერქეზული და ნიშნავს „Солнечная гора“-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავსებულია სიმინდი, 4—6 დესეტინა, ვენახი, ბაღჩა და სხვა. ეს სოფელი იმყოფება ზღვის პირიდგან, სახელდობრ სოჩიდგან 12 ვერსზედ და იგი ჩდილოეთის მხრით დასახლებულთ სამზღვარია, მას იქით ყუბანის ოლქამდე დაუსახლებელი ადგილებია; დღემდე პლასტუნამდე მიდიოდა გზა და იმას იქით მონადირე თუ გაივლიდა, ახლა მთავრობა გზებს მართავს, რომ იქითაც დაასახლოს ვინმე...

პლასტუნელები ირთობ კარგათ მოსწყობიან ახალ ადგილს, და თუმცა ბევრი ისეთი მოსულა, რომ დღიური საცხოვრებელი რა არის, ისიც არ მოჰყოლია, მაგრამ დღეს რამდენიმე უღელი ხარი ჰყავს, 10—20დე ღორი, კაი ოდა უდგია და პატარა მებატონესავით სცხოვრობს თავის 60 დღიურიან მამულში დაშეჰხარის მას და ლოცავს თავის ხვედრს...

აქ ყველა მოსახლეები გლეხთაგანი*) წერა-კითხვის მცოდნე მხოლოდ რამდენიმე კაცი მოიპოვება, რომელთაც ქართული წიგნები მოითხოვეს, მაგრამ,ჩემდა საუბედუროთ,ვერ დავაკმაყოფილე მათი სურვილი, რადგან არ მომეპოვებოდა. საკუთარი მღვდელი ქართველი ჰყავთ, და ეკლესია წმ. ნინოს სახელზედ არის აგებული.

ყველაფრით სრულია პლასტუნელი გლეხი, მხოლოდ ჯერ-ჯერობით ღვინო ბლომათ არ მოსდით, რათგან პირველადვე ყველას იმერული ჯიშის ვაზი, „ალექსანდროული“, ,,საფერავი'', ,,კაპისტონე'' და სხვა ჩაუყრიათ და აქ კი მხოლოდ ,,ოდესის'' ვაზი (იზაბელა) გვარობს და არ ინაცრება.

ყველა ახალ გაზდა ბიჭი მონადირეა და უქმეებში და ზამთარში ირთობს ნადირობით ტახზედ და სხვ., რომელნიც აქაურ ტყეებში მრავლად არიან.—

რა შევადარე პლასტუნელი ქართველების დასახლება დასახლებას მოლდოვანელებისა, ესტონელებისა და სხვათა, უნებლიეთ ერთი აზრს დავადეგ, რომლის განხორციელება სავალდებულოა ჩვენი დაწინაურებული საზოგადოებისათვის; შავი ზღვის პირები ქართველებით უნდა დასახლდეს; ათას ნაირი ხრიკები, რომ ქართველების დასახლება არა სურს მთავრობასაო, ეს ჭორებია და სხვა არაფერი, რომლითაც სურთ დააფთხონ ქართველი ხალხი იმ ადგილებიდან, რომელსაც ღვიძლ შვილობას გაუწევს, თვითონაც წამოიწევს და სახელმწიფო მოვალეობასაც პირნათლათ შეასრულებს. ამისთვის საჭიროა, ჩვენმა ,,ჩინოვნიკებთაგანმაც'' ქუთაისსა და ტფილისს ცოტა ხან მაინც თვალი აარიდონ და იქ ,,მწერლებათ'' სამსახურს, აქეთ ეძიონ ადგილი.

ღმერთო შენით!...

მზე-ჭაბუკი.

⁂ **ქ. კრასნავოდსკი** (კასპიის იქითა მხარე). **ახალგაზდა ცოლ-ქმრის ზღვაში დაღრჩობა.** 19-ს ივლისს აქ მოხდა ერთი შემაძრწუნებელი ამბავი: საღამოს 8 საათზედ,ზღვაში ნავით სეირნობის დროს, ნავის უვარგისობის გამო დაიღრჩვა ერთი ქართველი ახალ-გაზრდა ოფიცერი ლ. მ. ხელაძე თავის ახალ ჯვარ-დაწერილის ცოლით.

† ოფიცერი, ლეონტი მაქსიმეს ძე ხელაძე ობლად დარჩა მამას სამი თვის, მაგრამ დედა მისის გამრჯელობამ და მისის ძმის მეცადინეობამ დასძლია უკიდურეს სიღარიბეს და ის 7 წლის ბავშვი მიაბარეს სოფლის სკოლაში. სოფლის სკოლა ბავშვმა საუცხოვოთ გაათავა და 10 წლის ბავშვი გადაიყვანეს ქუთაისის პროგიმნაზიაში; ამ სკოლაში ბავშვმა ისეთი ნიჭი გამოიჩინა სწავლაში, რომ ყველა მასწავლებლების ყურადღება დაიმსახურა და გათავების შემდეგ ურჩიეს მის ძმას გადაეყვანა გიმნაზიაში,მაგრამ, რადგანაც საშუალება არ ჰქონდა, არჩია სამხედრო სამსახურში მიეცა. არც აქ გასცრუებია საწყალს იმედი, აქაც ისეთი უნარი გამოიჩინა, რომ ყველაფერში პირველობა ეტყობოდა და პირველობითაც გაათავა თბილისის საიუნკრო სასწავლებელი. ამ სასწავლებლის გათავების სამის თვის შემდეგ გადაიყვანეს კასპიის იქითა მხარეში პოდპორუჩიკის ხარისხით, მერვის მსროლელთა რაზმში და იქაც პირველ ოფიცრად მიაჩნდათ მათ უფროსებს და დიდი ნდობა ჰქონდა მათი მოპოვებული. წარსულ წელს, სექტემბრის თვეში ბუხარის ემირმა უბოძა ვარსკვლავი მეორე ხარისხისა. ამა წლის აპრილის 23 ჯვარი დაიწერა განათლებულ პოლონელ ქალზედ და 19 ივლისს კასპიის ზღვის ზვირთებმა მიიბარეს მათი ამ ქვეყნიური სიცოცხლე. ოფიცერი იყო 26 წლის, ხოლო მისი მეუღლე 20 წლის. საუკუნოდ იყოს ხსენება თქვენი, გაუშლელო ყვავილებო.

ერთი მისი ამხანაგთაგანი.

⁂ **ზ. კავთის-ხევი** (ქართლი). **ყვავილი და სხვა და სხვა ავადმყოფობა.** კავთის-ხევში, თურმე, ამ ბოლოს დროს მეტის მეტად მძვინვარებს ყვავილი, ქუნთრუშა და ციებ-ცხელება, რის გამოც მუდამ დღე 3-4 ბავშვი კვდება; უბედურება ის არის, რომ ექიმი არა ჰყავთ იქ და არავინ არის, რომ ცოტა მაინც შემწეობა აღმოუჩინოს სოფლელებს გაჭირებულ მდგომარეობაში.

იმედია, ყურადღებას მიაქცევს ადგილობრივი ადმინისტრაცია ამ გარემოებას და დროთი გაგზავნის ექიმს მისშველებლად, თორემ, თუ კიდევ დაიგვიანეს, ავადმყოფობა უფრო ფეხს მოიდგამს, გაზვიადდება და მერმე ხომ შველა უფრო გაძნელდება.

⁂ **ქვემო-იმერეთი** **სკოლების და სამკითხველოს უქონლობა.** ვინცკი ჩვენში სწავლა-განათლების საქმეს თვალ-ყურს ადევნებს, ის, უეჭველია, შენიშნავდა, რომ ამ მხრივ ქვემო-იმერეთი შედარებით საქართველოს ზოგიერთ ნაწილებთან, უკან არის ჩამორჩენილი, რასაც ცხადად გვიმტკიცებს სამრევლო-საეკლესიო სკოლების რიცხვთა სიმცირე და მასთან სახალხო სამკითხველოებისა, და წიგნთ-საცავების სრულიად უქონლობა.

განა საკვირველ არ არის, რომ ისეთს სოფლებში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 200—300 კომლს აღემატება, სამრევლო სკოლა არ იყოს? და ამისთანა სოფლები ბევრი მოინახება ქვემო-იმერეთში. რას უნდა მივაწეროთ ასეთი უნუგეშო მოვლენა, თუ არ ჩვენის მღვდლებისა და სოფლებში მყოფ ზოგიერთა განათლებულ და შეგნებულ პირთ უზრუნველობას უმეცარ ხალხისათვის, რომელიც სწავლის სარგებლობის ახსნას და ჩაგონებას საჭიროებს.

ეს, როგორც მოგეხსენებათ, მღვდლის, მასწავლებლის და ყველა შესმენილ ქართველის უწმინდესს მოვალეობას უნდა შეადგენდეს. ახლანდელ დროში ყოველი ჩვენგანი სკოლებისა და სამკითხველოების გამრავლებას უნდა ცდილობდეს, რათა გავრცელდეს სოფლებში სწავლა-განათლება.

სამწუხარო მოვლენათ ჩაითვლება სოფელში, სკოლაც რომ იყოს, თუ სახალხო-სამკითხველო და წიგნთსაცავი არ არის. თუმცა სოფლის სკოლებიდგან ბევრი გამოდიან წერა-კითხვის მცოდნენი, მაგრამ გამოსვლისათანავე სკოლასთან ზნეობრივ კავშირს ჰკარგავენ და რამოდენიმე წლის შემდეგ თითქმის სრულიად ივიწყებენ სკოლიდგან გამოტანილ სწავლას. აი ამ არა სასურველის მოვლენის თავიდგან ასაცდენად, ყოველ სოფელში, სადაც-კი სკოლაა, საჭიროა წიგნთ-საცავებისა და მასთან სამკითხველოების დაარსება.

ნოე ჯიქთომელი.

⁂ **ქვემო-მაჩხაანი** (ქიზიყი). **საჭიროა გაგვაგებინოთ.** ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ ,,ცნობის ფურცელში'' ამ მცირე შენიშვნას: ორი წლის წინათ გავმართეთ ხელის მოწერა სოფელ პატარძეულში, სადაც შევკრიბეთ რამდენიმე მანეთი ფული სტუდენტ ლ. ბილანიშვილის სასარგებლოდ. ის შეკრებილი ფული გარდაეცა ბ. მიხ. მურუმანიშვილს, რომელსაც უნდა გაეგზავნა დანიშნულებისამებრ, მაგრამ დღემდის არა ისმის რა; ამისთვის ვსთხოვ ბ. მურუმანიშვილს გაზეთის საშუალებით შეგვატყობინოს, გაუგზავნა ბილანიშვილს ფული, თუ არა, თუ გაუგზავნა რამდენი. ამასთანავე ვსთხოვ სტუდენტს ლ. ბილანიშვილს გამოაცხადოს ერთ-ერთს მახლობელ გაზეთში სახელდობრ ვისგან რამდენი მიიღო, რადგან, ხელის მოწერის გარდა, მისი სასარგებლო წარმოდგენებიც იმართებოდა.

მასწ. ილ. მენთეშაშვილი.

⁂ **ცხინვალი.** **ცხინვალ-მიდამო და ორკეცი ავაზაკობა.** დღევანდელი დრის სალაპარაკო ფუხაშვილი, თედოშვილი და გიგელაშვილი-ღაა; ყველა მის ქვეშ არის შეძლებულიცა და შეუძლებელიც, მღვდელიცა და ერიც. ზოგიერთი ვალს დაეძებს იმ განზრახვით, აგერა დღეს თუ ხვალ შემომაწერს და, თუ არ გაუგზავნე, ამიკლებს და სიცოცხლეს გამომასალმებსო!

მართლაც და ეს ახლად გამოჩეკილი შაჰაბაზები ხან ერთს სოფელში გაჩნდებიან და ხან მეორეში დღისით და მთელს სოფელს ააყაყანებენ. რასაც უბრძანებენ აქა და აქ ამდენი და ამდენი მოგვართვითო, ესენიც უზიდავენ პურს, ღვინოს საცხებელითა მისითა.

ამ პირველ მარიამობისთვეს, ორი ბრძანებითი წერილი მოუვიდა ს. ქურთაში, ვანო მიხეილის ძე მაჩაბელს, აი წერილიც სიტყვა-სიტყვით: „კნიაზო ვანო მაჩაბელო, ერთი ოთხი თუმანი სახარჯო ფული გამოგვიგზავნე, ჩვენი ჩამოსვლა ნუ გინდათ და ერთი ხუთი თუნგი ღვინოც გამოგვიგზავნე. გწერს გაჩო გიგელაშვილი და სავი თედოშვილი“. ეს პირველი წერილი პატარა რვეულიდგან ამოგლეჯილ ქაღალდზეა დაწერილი ყარანდაშით. ეს წერილი მიუღია ერთის ჰულუხაძის ბიჭის ხელით და პასუხათ წერილივე გაუტანებია: „მე ამ ხელათ ფული არა მაქვს და თუ ძალას დამატანთ, ვიშოვი, მხოლოდ ადგილი დამინიშნეთ, სად მოგართვათო!“

მეორე წერილსა სწერენ: კნიაზო ვანო, ღმერთმა ხომ იცის მე თქვენნაირი კაცის წყენა არ მინდა, თორემ იმ დღეს რომ ძარში (სოფელია) მიბრძანდებოდით, განა არ დაგინახეთ, პირდაპირ გიცქეროდით, მაგრამ არ გვინდა თქვენი საწყენი; კიდევ გვეუბნებიან გემუქრებათო; ახლა თუ ჩვენი ნახვა გინდათ, ამაღამ მობრძანდით სანდროსთან უეჭველად. ინტერესია, თორემ იქაც ჩამოვალთ, არ მოგვატყუილო, ამოდი, გვნახე; მგლები-კი არა ვართ. გწერს სავი“.

ეს ამბავი თავადმა პოლიციას აცნობა. მეორე დღეს ს. ქვემო არაბეთში ამოვიდა ბოქაული მაზრის უფროსის თანაშემწითურთ. რა ზომებსა ჰხმარობდა პირველ და რა იხმარა დღეს, არ ვიცი. მხოლოდ ვიცი, გაიგებენ თუ არა ამ სოფელში იყოვო, უმალვე გაჩნდება ხოლმე ჩაფრებითურთ და კაკლის ჩრდილებ ქვეშ ან ვენახებში ეძებენ...

წინათ ორი ჩაფარი შებრძანებულა ქვემო ხვითში თაქთაქიშვილის ვენახში, ცხენები არხეინათ გაუშვიათ და თითონ ჩრდილებს ქვეშ ღრმა ძილს მისცემიან; პატრონი წასდგომია თავს და, რასაკვირველია, გაუღვიძებია და უთქვამს: რას აკეთებთ აქაო?—ყაჩაღებს ვეძებთო! რომ შემოუტევნია, ბოდიში მოუხდიათ: გლეხ-კაცისა გვეგონა ვენახიო. მკითხველი ადვილად მიჰხვდება, რომ გლეხ-კაცისა არც ვენახია დასაზოგი და არც ბზე-ქერი, არც მოხარშული და შემწვარი ვარიები, არც არაყი და ღვინო... ან-კი რა ჰქნან, ყაჩაღებს დასდევენ დასაჭერათ—ეგეც მოხერხებაა; იქმნება გაშლილ სუფრაზე წამოგვაწყდნენ და მაშინ უფრო ადვილად დავიჭერთო, თუ გინდა მძინარებს რომ გასჩენოდნენ, როგორა გგონიათ, ადვილად ვერ დაიჭერდნენ თუ?! მე შენ გითხრა, —ტყვია-წამალი დაეხარჯებოდათ!..

გუგუშვილი საქებ-სადიდებელი იმითი იყო, რომ ჯერ მოიფიქრ-მოიაზრებდა, შემდეგ ქურდს პატივსა და დიდებას ჰპირდებოდა და ქურდს ქურდითავე აბამდა მახეში, ყაჩაღს ყაჩაღითავე იჭერდა და ორთავეს აშორებდა იქაურ ღრუბელს... ეს დალოცვილები-კი ქურდობაზედ დაჭერილს ხელიდგანვე უშვებენ!

ამას წინად ს. ქურთაში ღამის ყარაულებმა ხაჭაპურიძის მარანში ქურდები დაიჭირეს, რომელთაც კლიტე გაეტეხნათ, აენთოთ სანთელი, ამოეწყოთ ლობიო, მოეხადნათ ქვევრი, შეექცეოდნენ—და ისე გასთოკეს კიდეც. იქვე რვა თუმანი, თურმე, ეძლიათ—ოღონდ გაგვანთავისუფლეთო, ამ ჩოჩქოლში ერთი, თურმე, გაექცათ და მეორე გათოკილი ჩამოიყვანეს ცხინვალში და იმავე დღესვე გამოუშვეს; რასაკვირველია, კარგი ჯილდოა ქურდისათვის იმიტომ, რომ მეორედ ჰქნას.

მე დარწმუნებული ვარ, პოლიციამ ძალიან კარგად იცის გაცვივნულების ბინა და თავ-შესაფარი; რად არ შეჰკრავს თვით იმ სოფელს, რომ სოფელმავე მისცეს ხელში. ან რატომ ვერ იცის, რომ კეხვის დუქნებია იმათი მუდმივი მასპინძელი; რა სოფლის დამაშვენებელნი არიან ეს დუქნები ან რა საჭიროა, როცა ცხინვალი ზურგზედ აკრავთ კეხველებს? აბა მოსპეთ ამ დუქნების ხსენება აქეთ და იქით ქვათეთრის დუქანი, სადაც ბინათ და სანადიმო სამღერალოთ გადაქცეულან მათთვის და მაშინ დამერწმუნებით, რომ მათი არსებობის დღეც მოისპობა.

თუ ეგ დუქნები ისევ დუქნებათ დარჩა, ეგენიც რომ დაიჭირონ, მაგათ ადგილს სხვა დაიჭერს; ამიტომ საჭიროა, უპირველეს ყოვლისა ეს საბუდრიბანა მოშალონ და მაშინ დაჭერაც ადვილია მათი. მით უფრო, საჭიროა, ამ დუქნების გაუქმება, რომ სოფელი გალეწილია ამათი წყალობით.

ამასთანავე საჭიროა, თვითოეულ სოფელს, თუ მეტი არა, ოთხ-ოთხი ბერდანის თოფები დაურიგონ სამყოფი ტყვია-წამლით. დღეს სოფელში სანთლით რომ ეძებოთ, იარაღს ვერ იპოვით; თუ სადმე შეგხვდათ ჩაჟანგებული ჩახმახიანი თოფი, მუგუზალიც რომ თან ატაროთ, მაინც არ გავარდება. დღევანდელი ყარაულები სასაცილონი არიან თავიანთი კომბლებით! რა ჰქნან საწყლებმა, წინაც რომ შაეხეჩნენ! როცა კი თოფები ექნებათ, მაშინ ყაჩაღსაც მორიდება ექნება, ისე აღარ ინავარდებს სოფელში შუადღისას, როგორც, მაგალითად, დღეს.

ნათქვამია: „მგელს მგლობა ერქვა, ტურამ ქვეყანა ამოაგდოვო“. ფუხაშვილის სახელით დიდი და პატარა ყაჩაღია, თუ ყაჩაღობის შნო არა აქვს და მოციქულად მოდის სოფელში და გეუბნებათ: ფუხაშვილმა, ამდენი პური, ღვინო, საკლავი გამომიგზავნეთო, თორემ ვაი დედი თქვენის მზესო. ერთმა ურიამ სოფელი ღვანი ასეთი მოციქულობით გაბეგრა, თურმე.

კვირიკელა.

⁂ **დ. აბაშა** (სამეგრელო). **ლატარია ჯერ ლხინად და მერე ჩხუბად ქცეული.** აქაური სოფლის ახალგაზდა ქალებმა გამართეს ლატარია 3 აგვისტოს, ღამით ნორმალური სკოლის დარბაზში. რასაკვირველია, ყველა ხელის მომწერლები შეიყარნენ ხსენებულს სკოლის დარბაზში. აქ ხელის მომწერლებს წარმოუდგათ თვალწინ, ნაცვლად ლატარიისა, გაჭიმული სუფრა, რომელსაც ამშვენებდა წითელი ღვინო და კეკლუცი ახალგაზდა ქალები. ლატარია რაღა სახსენებ-

---

*) ცარიელი უსაფუძვლო, შეუძლებელი სურვილი იყო **ბ. ნ. ი.** ნიკოლაძისა, რომელიც ამ ორ სამი წლის წინად „მოამბეში“, ოთხასიოდე კომლს ბოგანო თავად აზნაურს ითვლიდა და ურჩევდა ადგილები ეთხოვა; რატო ერთი მაინც არ გადმოჰყვა ქარავანს?....

ავტ.

ლი იყო, როცა ყოველივე სალხინოდ და შესაქცევად იყო გაჩაღებული; ლატარია პატრონს დაუბრუნეს და მიჰყვეს ხელი—დროების ტარებას, მაგრამ, საუბედუროდ, სიმხიარულე ჩვეულებრივ უწესოდ გათავდა: ურთი-ერთს შორის გაჩნდა ჩხუბი, ხანჯლისა და ხმლის ტრიალი, ქალების წივილ-კივილი და სრული არევ-დარევა ერთმანერთში, მშველელი არსაითა სჩანდა. ამ საზიზღარმა სურათმა დილამდის გასტანა. ხალხს არ შეეძლო თავი დაეღწია წვიმისა გამო და, რადგანაც სხვაგან ახლოს ბინა აღარ ჰქონდათ, ისევ იქ არჩიეს დარჩენა... ქალები-კი ბედს იწყევლიდნენ და ღმერთს აღთქმას აძლევდნენ, რომ მეორეთ აღარ ეფიქრათ—ლატარიას გამართვა და ახიც არის მათზე. მეტად მოგვაბეზრეს თავი ლატარიებით... ეხლა მაინც, იმედია, აქაური ქალები თავს დაანებებენ ასეთს „საქველ-მოქმედო საქმეებს“, და შეუდგებიან ლატარიის მაგიერ წარმოდგენების და სხვა უფრო გონების და სულიერ გასართობის მართვას. იმ ჩხუბსა და დავიდარაბაში, ამბობენ, ზოგნი დაიჭრნენო.

მოვაკრე.

⁂ **ს. საჩიჯაო.** (სამეგრელო). **სწავლა-განათლება ჩვენში.** საჩიჯაოს საზოგადოება შეიცავს 600-მდის კომლს მცხოვრებს, მათ შორის თავად-აზნაურობა იქნება 30 მოსახლე. არის ხუთი შტატის ეკკლესია და ექვსი მღვდელი აი, ასეთს დიდს საზოგადოებაში ერთი სამინისტრო სკოლაა და ერთიც—სამრევლო. აბა როგორ უნდა დააკმაყოფილოს ამ ორმა პატარა სკოლამ ჯეროვნად საზოგადოების მოთხოვნილება?!

ორივე ზემოხსენებული სკოლა არსებობს ხობი-წყლის მარჯვენა ნაპირზე; სამრევლო სკოლა ს. ზუბშია, ამავე სოფლის მრევლთათვის, ხოლო სამინისტრო სკოლაში მდინარის მარცხენა ნაპირზე მცხოვრებნი სიშორისა და მდინარის სიდიდისა გამო შვილებს ვერ აძლევენ და ვერც სკოლა აკმაყოფილებს. ყოველ წლობით ორი თუ სამ. დაასრულებს ამ სკოლას, მაგრამ რუსულ „ანაბანას“ მეტი არც წერა იციან და არც კითხვა. სკოლა დაცემულია და მისი გაუმჯობესობა და გამოკეთება დიდად საჭიროა. ახლა ხან ახალი მასწავლებელი დანიშნეს აქა და ვნახოთ, რა სიკეთეს იზამს. მამა ბათლომე იოსავა 40 წელიწადზედ მეტია, რაც თავის სამრევლო სკოლაში გულ-მოდგინებით შრომობს და დიდს სარგებლობას აძლევს თავის მრევლს.

— სამრევლო სკოლის საჭიროება. თვით ს. საჩიჯაოში ორი ეკკლესიაა და ერთი მღვდელი მამა ოქროპირ ნანეიშვილი. მისი მრევლი შეიცავს თითქმის 250 კომლ მოსახლეს და ამიტომ სასურველია იგი იკისრებდეს თავის სამრევლოში სკოლის დაარსებას. მართალია, მისი მრევლი ღარიბია, მაგრამ, რადგანაც თვითონ იგი, მამა ოქროპირი და მისი დიაკვანიც გვათუა ნასწავლნი ბრძანდებიან და შეძლებაც შესწევს, ადვილად შაიძლებენ თავის შრომით და ჯერ-ჯერობით თავის ხარჯითაც სკოლის დაარსებას და შენახვას.

— სწავლის მოთხოვნილება. ექვს გარეშეა, რომ უპატრონობისა გამო საჩიჯაოის საზოგადოება სწავლა-განათლებით ბევრით უკან ჩამორჩენილია ზუგდიდის მაზრის სხვა სოფლებზე. მაგრამ, პატრონი რომ ჰყავდეს, ძლიერ აღძრულია მათში სწავლის წადილი, ყველას თითეულად შეგნებული აქვს სწავლის მნიშვნელობა და საერთოდ ბევრი იმის გოდებაშია, რომ სიღარიბისაგამო შვილის მიცემა ქალაქის სასწავლებელში არ შეუძლია. სასწავლებლის უქონობისაგამო სოფლის ახალ გაზდობა სიხარულით იკრიბება კვირა უქმე დღეებში ზოგიერთ სოფლის წერა კითხვის მცოდნე პირებთან, რომ ,,ანა ბანა'' და ხელის მოწერა მაინც ისწავლოს.

— მოსავალი აქ სიმიდი გვალვისაგამო გვიან, თიბათვეში დაითესა, მაგრამ ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს. ,,ადესის'' ყურძენი ბევრი ასხია და იმედია, ღვინო ცოტათი მაინც დააყენონ.

ისიდორე შიოსძე

სხვა და სხვა ამბები

ქალების უნივერსიტეტი იაპონეთში. მოკლე ხანში იაპონეთში გაიხსნება ,,ნიპონსიომ-დაიგაკი''—ქალების უნივერსიტეტი. მოთავეობა ამ საქმეში მთლად ეკუთვნის იაპონეთის მეცნიერს ნიზო ნარუსეს, რომელიც დიდი ხანია ქადაგობს ხსენებულ-უნივერსიტეტის დაარსებას. მთელი იაპონეთი დიდ თანაგრძნობას უწევს ამ საქმის განხორციელებას. კრებებზედ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო მოხურნე პირები როგორც, მაგალ. გრაფ ოკუმი გარე საქმეთა მინისტრი, მარკიზი ხაჩიფუკა განათლების მინისტრი, გრაფ საიგაკტო სასახლის მინისტრი, თ. კონოიე პალატის პრეზიდენტი. პირველ მოსაწყობად სასწავლებლისათვის საჭიროა 300 ათ. იენი—350 ათ. მანათი. ამ ფულიდგან 200.000 იენს ქალაქი ოსაკა და ტოკიო კისრულობენ, დანარჩენს სხვა ქალაქები.

—

საინტერესო სტატისტიკა. ერთმა ინგლისელმა სტატისტიკმა გამოიკვლია რომელი ერის კაცი რამდენსა ხარჯავს წელიწადში საჭმელზედ,—გამოვიდა, რომ ინგლისელი ხარჯავს ყოველ წლიივ 96 მანათს; ფრანგი—94 მ.; გერმანელი—84 მ.; ისპანელი—66 და იტალიელი 48 მ.

ინგლისელი ყველაზედ მეტ ხორცსა სჭამს, თითოეულ კაცზედ მოდის 109 გირვანქა წელიწადში; ფრანგზედ—87; გერმანელზე—64 გირ. და იტალიელზედ 28 გირ. გერმანიაში პურსა სჭამს თითო სული წელიწადში 560 გირ. საფრანგეთში—540 გირ. ისპანიაში—480 გ,. იტალიაში 400 გირ., და ინგლისში 380 გირვანქას.

—

სარრა ბერნარის ვაჭრობა. ვაჭრობას ყველგან საპატიო ადგილი უჭირავს: ,,დეიტეგრაფმა'' მსახიობმა სარრა ბერნარმა ნიუ-იორკში გაალო ქალის ქუდების მაღაზია''. შიგ დააყენა თავის ძმის წული ქალები და დაიწყო ვაჭრობა, ფული უნდოდა მოეგო, მაგრამ მოტყუვდა. ამერიკელი ქალები თავიანთი ქუდების საყიდლად თითონ მიდიან ხოლმე პარიჟში და ძალიან სწყინდათ, რომ სარრა ბერნარი აკლებს მათ პარიჟში მოგზაურობის სიამოვნებას, რისგამოც არავინ არა ყიდულობდა მის საქონელს. სარრა ბერნარი იძულებული იყო დუქანი დაეკეტა.

⁂

წვრილი ამბავი

მილლიონერის ცხოვრებიდგან. მელბურნში ესლახან გარდაიცვალა ერთი ვაჭარი—წიგნების მყიდავი, რომელმაც ისეთი სახელი მოიპოვა რომ დაარქვეს „მეფე წიგნით-ვაჭრობისა“. ვაჭარობაში ეს „მეფე“ უბრალო ნოქარი იყო ერთს ვაჭართან, რომელსაც ჰყვანდა მშვენიერი ქალიშვილი. ამ ქალსა და ნოქარს შეუყვარდათ ერთმანეთი და ოცნებობდნენ ქორწინებასა და შეუღლებაზედ. აგერ ახალგაზდა ნოქარმა გაბედა და მოახსენა პატრონს თავისი გულის დარდები. პატრონს სიცილად არ ეყო.

— შენ, რომელსაც გაპიკი არა გაქვს, რომ თვალზედ მიიკრა, მთხოვ მე, მდიდარს კაცს ქალიშვილს?

— დიახ მე,—მიუგო ნოქარმა,—ეხლა არა მაქვს ფული, მაგრამ შემდეგში კი მექნება ბლომადო.

— რა ნაირად? ჰკითხა პატრონმა.

— თუ არა გჯერათ, გამოსცადეთ ჩემი ვაჭრული უნარი.

— კარგი მაშ, უთხრა ვაჭარმა: მე მაქვს 1,500 ცალი რომანისა „ჩინებული შტო“, რომელსაც არავინ ყიდულობს და ტყუილად საწყობში ლპება. აბა სცადე და ეს რომანი გაასაღე!

სულ ორის კვირის განმავლობაში გაყიდა ახალგაზდა ნოქარმა ეს წიგნები.

— კაცო, და რა ნაირად მოახერხე ეს საქმე? ჰკითხა პატრონმა.

მაშინ ნოქარმა უჩვენა ნომერი გაზეთისა, სადაც იყო დაბეჭდილი ასეთი ეშმაკური განცხადება: „ახალგაზდა და მდიდარი მებატონე ეძებს საცოლეს. პირობა: საჭირო არ არის არც სილამაზე, არც ქრთამი და მზითევი; ჰქონდეს ქალს მხოლოდ სპეტაკი გული და გონება: მსურველი მობძანდეს №-ს ქუჩაზედ ნაშუადღევის 3 საათზედ. რათა ადვილად მივხვდეთ, ვინ მობძანებულა თანახმად ჩემის განცხადებისა, ვსთხოვ ამ პირთ მარჯვენა ხელში ეჭიროთ რომანი „ჩინებული შტო“. ამ განცხადების წყალობით „ჩინებული შტო“ ორ კვირაში სულ გაიყიდა.

პატრონს ისე მოეწონა ხერხიანობა ნოქარისა, რომ გადაეხვია, გადაკოცნა და უთხრა: „შენზედ უკეთესს მე ვერავის ვუშოვი საქმროს ჩემს ქალსაო“. ამის შემდეგ დიდება და სახელი „წიგნის ვაჭრობაში“ ახალგაზდა კაცისა სწრაფად იზრდებოდა და ბოლოს ხომ „მეფის“ სახელიც დაიმსახურა.

განცხადებანი

ცნობილის ფაბრიკების

როიალები



პიანინო

ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი
სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა.
Музыкальное депо
Б. М. Мириманяна.
Тифлисъ, Дворцовая ул., д. грузинс-дворянства.

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლა

დაიწყება ორივე სქესის მოწაფეთა მიღება 25 აგვისტოდან.

სკოლაში ორი განყოფილებაა (**ქართული და სომხური**) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმით და სამი განყოფილებაც რუსული.

სკოლა გადავიდა ახალს სადგურში
ნაგორნისა და გუდოვიჩის ქუჩების ყურში,
სავარდ პოსერბსკის სახლში, № 12.
სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.
(6—4)

1 августа вышла и разослана подпищикамъ **ВТОРАЯ КНИГА**
ИЛЛЮСТРИРОВАННАГО ЕЖЕМѢСЯЧНАГО ИЗДАНІЯ
НОВЫЙ ЖУРНАЛЪ
Иностранной Литературы
искуства и науки
(**БОЛѢЕ СТА ИЛЛЮСТРАЦІЙ**).

СОДЕРЖАНІЕ: СТАТЬИ ИЛЛЮСТРАЦІЯМИ: I. Вильгельмъ II, императоръ германскій (съ 16 иллюстраціями).—II. Какъ сдѣлаться писателемъ? (съ виньетками).—III. Изъ воспоминаній о Севастопольской оборонѣ (съ рисункомъ).—VI. Прогрессъ геологіи въ XIX вѣкѣ (съ 7 иллюстраціями).—V. Альфонсъ Карръ. Мысли, шутки и стихотворенія въ прозѣ (съ портретомъ Альфонса Карра и виньеткой).—VI. Коклэнъ о Беранже (съ 2 портретами и виньеткой).—VII. Художникъ о Жаннѣ д'Аркъ (съ 3 рис. Буте де-Монвеля)—VIII. Изъ Ленау. Стихотвореніе В. С. Лихачова (съ 2 виньетками).—IX. Съ ночнымъ поѣздомъ. Иллистрированный разсказъ Бернанда (съ 7 рисунками).—X. Пробужденіе Амура. Картина нерро (съ снимкомъ картины и 2 виньетк.).—XI. Анархизмъ въ современномъ искусствѣ (съ виньеткой).—XII. Силуэты знаменитыхъ людей (съ 19 иллюстраціями). XIII. О дамскихъ шляпахъ (съ 9 иллюстр.).

Иллюстрированная заграничная хроника (болѣе **40** иллюстрацій)

НА СОВРЕМЕННЫЯ ТЕМЫ (О Нансенѣ и его подвигахъ.—Къ 400-лѣтію экспедиціи Васко де-Гама—О Мельякѣ.—О нравственномъ цензѣ писателей и о литературной платѣ въ Германіи) **—ИЗЪ ПРОШЛАГО** (Корженевскій въ перепискѣ съ Кр-евскимъ.—Интриги Бернадота въ 1812—1814 г.—Людовикъ XVIII и г-жа де-Кейла.—Наполеонъ III и г-жа Корню.—Сердце Людовика XIV) **—ЛИТЕРАТУРНЫЯ НОВОСТИ** (Сент-Бевъ и Викторъ Гюго.—Александръ Дюма въ роли свата.—Жюльетта Друэ и Викторъ Гюго.—О Теофиле Лотье.—Изъ писемъ французскихъ романтиковъ.—Послѣдняя любовь Лопе де-Вега.—Поль Бурже о Флоберѣ.—Ленау и Эмилія Рейнбекъ.—Польскій переводъ (Записокъ изъ Мертваго Дома).—**ХУДОЖЕСТВЕННЫЯ НОВОСТИ** (Ленбахъ объ академіяхъ и художественныхъ выставкахъ.—Панорама «Березинской переправы».—Дѣти на картинахъ знаменитыхъ художниковъ.)—**НАУЧНАЯ ХРОНИКА** (Борьба съ волнами.—Успокаивающее дѣйствіе масла.—Автоматическій распредѣлитель масла.—Спасательный кругъ Дебросса Дибо.—Примѣненіе ацетилена къ наполненію спасательныхъ мѣшковъ.—Простой и удобный плотъ.—Спасательная лодка Вильяма Джемса.—Микрофонографъ Дюссо.—Лампа накаливанія Врека и ея примѣненія.—Электрическій телеграфъ безъ проволоки.—Свѣтовой телеграфъ.—Подъемный мостъ въ Америкѣ.—Метеорологія наблюдательная и опытная.—Опытъ проф. Еггега.—Змѣй, какъ аппаратъ для научныхъ изслѣдованій). **—ИЗЪ АРТИСТИЧЕСКАГО МІРА** (Легенды о Паганини).—**ИЗЪ ИНОСТРАННОЙ ЖУРНАЛИСТИКИ** [Интеллектуальная истощенность современной цивилизаціи.—Геній и ростъ.—Атлетизмъ и долголѣтіе).

РОМАНЫ, ПОВѢСТИ и РАЗСКАЗЫ.

ИСПОВѢДЬ СЫНА ВѢКА. Альфреда де-Мюссѣ (съ біографическимъ очеркомъ А. де-Мюссе и иллюстраціями).

ДѢТСТВО КРЕСТЬЯНИНА. Провансальскіе очерки Батиста Боннэ Съ предисловіемъ Альфонса Додэ.

ПРАЖСКАЯ КОЛДУНЬЯ. Фантастическій романъ Маріонъ Крауфорда.

НЕКАЗИСТЫЯ ИСТОРІИ Разсказы Густава Шфарцкопфа (Поденщики.—Дебютъ.—Окольнымъ путемъ).

СТРАННОЕ ПРИКЛЮЧЕНІЕ АЛЬКАЛИ ДИКА. Новый разсказъ Бретъ-Гарта.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

съ 1-го іюля 1897 г. по 1-е января 1898 г. Безъ доставки **2 Р. 50 К.**; съ доставкой и пересылкой **3 Р.**

Для гг. служащихъ въ правительственныхъ и общественныхъ учрежденіяхъ допускается разсрочка за поручительствомъ гг. казначеевъ.

Подписка принимается **ВЪ ГЛАВНОЙ КОНТОРѢ «НОВАГО ЖУРНАЛА ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ»**—С.-Петербургъ, Вознесенскій пр., д. 3 и въ книжныхъ магазинахъ «Новаго Времени» (Невскій, 38) и Вольфа (Гостиный дворъ, № 18). Иногородніе и подписчики съ разсрочкой благоволятъ адресоваться **въ редакцію «НОВАГО ЖУРНАЛА ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ».** (С.-Петербургъ, Конногвардейскій бульваръ, 13).

(4—1) Редакторъ-Издатель **Ѳ. И. БУЛГАКОВЪ**ц

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Августа 1897 г.
სტამბა ექ. ი. ხელაძისა, დორის-მელიქოვის ქ., № 28.
რედაქტორ-გამომცემელი **ვალ. გუნია**